

სს „გოლდსეპტ საქართველო“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)


	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	1,476,920.33	2,138,588.40
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	29,805.71	109,698.64
სასაქონლო მარაგები		48,358.50	51,646.54
		1,555,084.54	2,299,933.58
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები	5	15,584,366.42	6,678,183.38
		15,584,366.42	6,678,183.38
		17,139,450.96	8,978,116.96
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	4,330,071.67	493,980.59
გადასახადები		-	28,282.66
		4,330,071.67	522,263.25
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	14,379,103.42	9,441,593.84
		14,379,103.42	9,441,593.84
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(1,569,724.13)	(985,740.13)
		(1,569,724.13)	(985,740.13)
		17,139,450.96	8,978,116.96

გენერალური დირექტორი

ზ. ქუთელია

ბუღალტერი

ნ. ველთაური



სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	2022	2021
საქონლის გაყიდვიდან	609,842.96	-
მომსახურების გაწევიდან	13,663.58	1,879.32
	623,506.54	1,879.32
გაყიდვების თვითღირებულება	(461,882.85)	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7,372.04	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,719,995.50)	(623,100.90)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(21,763.66)	(5,648.28)
საპროცენტო შემოსავალი	159,710.34	27,931.85
საპროცენტო ხარჯი	(591,670.60)	(149,715.77)
იჯარის ხარჯი	(233,980.95)	(105,655.60)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(277,098.24)	(129,426.61)
	(3,139,309.42)	(985,615.31)
საოპერაციო მოგება	(2,515,802.88)	(983,735.99)
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	1,942,897.84	1,388.41
მოგების გადასახადის ხარჯი	(11,078.96)	(3,392.55)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(583,984.00)	(985,740.13)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(985,740.13)	-
კაპიტალის გაზრდა	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(1,569,724.13)	(985,740.13)
გენერალური დირექტორი		
ზ. ქუთელია		
ბუღალტერი		
ნ. ველთაური		



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს “გოლდსეპტ საქართველო” რეგისტრირებულია 2021 წლის 2 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მ. ბროსეს ქ. 2. მისი ძირითადი საქმიანობაა გეოლოგიური კვლევა ძიება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება წრფივი მეთოდი. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფული ბანკში	1,476,920.33	2,138,588.40
	<u>1,476,920.33</u>	<u>2,138,588.40</u>

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
დებიტორული მოთხოვნები	-	78,767.25
საგადასახადო აქტივი	29,805.71	-
გადახდილი ავანსები	-	30,931.39
	<u>29,805.71</u>	<u>109,698.64</u>

5. წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები

	31.12.2021	წმინდა მიღება/(გასვლა)	ცვლილება	31.12.2022
ისტორიული ღირებულება				
ნაგებობები	279,839.70	14,131.92	-	293,971.62
მანქანა დანადგარები	233,582.62	9,529.65	-	243,112.27
ოფისის აღჭურვილობა	143,594.80	46,528.68	-	190,123.48
ავეჯი და ინვენტარი	30,039.31	4,244.91	-	34,284.22
სატრანსპორტო საშუალებები	849,265.88	(298,437.55)	-	550,828.33
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	932.20	2,118.65	-	3,050.85
საბადოს ქონება	4,974,775.67	9,332,819.94	-	14,307,595.61
არამატერიალური აქტივები	217,340.36	30,336.80	-	247,677.16
	6,729,370.54	9,141,273.00	-	15,870,643.54
აკუმულირებული ცვლილება				
ნაგებობები	(5,893.67)	-	(36,830.57)	(42,724.24)
მანქანა დანადგარები	(15,819.25)	-	(80,002.35)	(95,821.60)
ოფისის აღჭურვილობა	(7,207.31)	-	(36,216.52)	(43,423.83)
ავეჯი და ინვენტარი	(1,295.14)	-	(6,759.49)	(8,054.63)
სატრანსპორტო საშუალებები	(20,971.79)	-	(74,264.08)	(95,235.87)
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	-	-	(1,016.95)	(1,016.95)
საბადოს ქონება	-	-	-	-
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-
	(51,187.16)	-	(235,089.96)	(286,277.12)
საბალანსო ღირებულება				
ნაგებობები	273,946.03	14,131.92	(36,830.57)	251,247.38
მანქანა დანადგარები	217,763.37	9,529.65	(80,002.35)	147,290.67
ოფისის აღჭურვილობა	136,387.49	46,528.68	(36,216.52)	146,699.65
ავეჯი და ინვენტარი	28,744.17	4,244.91	(6,759.49)	26,229.59
სატრანსპორტო საშუალებები	828,294.09	(298,437.55)	(74,264.08)	455,592.46
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	932.20	2,118.65	(1,016.95)	2,033.90
საბადოს ქონება	4,974,775.67	9,332,819.94	-	14,307,595.61

არამატერიალური აქტივები	217,340.36	30,336.80	-	247,677.16
	6,678,183.38	9,141,273.00	(235,089.96)	15,584,366.42

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო კრედიტორები	3,078,391.10	493,980.59
გადასახდელი ხეფასები	1,251,364.57	-
ვალდებულებები	316.00	-
თანამშრომლებისდმი		
	4,330,071.67	493,980.59

7. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხს, რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში. პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით.

	31.12.2022	31.12.2021
მიღებული სესხები	13,702,934.11	9,292,800.00
გადასახდელი პროცენტები	676,169.31	148,793.84
	14,379,103.42	9,441,593.84